

პროგრამის სახელწოდება

სასტუმროს მიღება-განთავსების პროცედურები



პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: 18 წელი

პროგრამის მიზნები : შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელიც შეძლებს სასტუმროში სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების შესრულებას სტანდარტების შესაბამისად. შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამა შემუშავებულია სასტუმრო ინდუსტრიის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, აჭარის რეგიონში მოქმედი საერთაშორისო სასტუმრო ქსელის წარმომადგენლების ჩართულობით. პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სასტუმროს მიღება-განთავსების პროცედურები“ სწავლა შეუძლია მინიმუმ 18 წლის პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს სასტუმროში მიღება-განთავსების სამსახურში. კურსდამთავრებული სასტუმროს მართვის საერთაშორისო პროგრამის გამოყენებით შეძლებს სტუმრის მიღება-განთავსების სტანდარტული ოპერაციების პროცედურების შესრულებას: დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა, სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფასტუმართან ანგარიშსწორებისა და გაწერის პროცედურების უზრუნველყოფა ცვლის გადაბარებისა და ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა

სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში;
- პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით.

**სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფის საფუძვლების განსაზღვრა
- სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების თეორიული საფუძვლების განსაზღვრა
- დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა
- სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა
- სტუმართან ანგარიშსწორების პროცედურების უზრუნველყოფა
- სტუმრის გაწერის უზრუნველყოფა
- ცვლის გადაბარების განხორციელება
- პრობლემის აღმოფხვრის ორგანიზება სტუმრებთან მიმართებაში
- პრობლემური სიტუაციის მოგვარება
- ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“
- სასტუმრო „ჯორჯია პალასი“

დასაქმების სფერო/სფეროები:

- მომსახურებები (ფართო სფერო)